



შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის

საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში - სასწავლო უნივერსიტეტი) საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური წარმოადგენს სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულს.
2. სასწავლო უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის მიზნები და ამოცანებია:
 - ა) თავისი კომპეტენციის ფარგლებში სასწავლო უნივერსიტეტის ინფორმაციული და ანალიტიკური მხარდაჭერა;
 - ბ) სასწავლო უნივერსიტეტის ინფორმაციული სისტემების ქვეყნის ინფორმაციული-საკომუნიკაციო სივრცეში ინტეგრაცია;
 - გ) სასწავლო უნივერსიტეტში ინფორმაციული სისტემების და ახალი სერვისების დანერგვა და განვითარება.
3. სასწავლო უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, სასწავლო უნივერსიტეტის წესდებითა და წინამდებარე დებულებით.
4. სასწავლო უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის წინაშე და ასრულებს მის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ მოვალეობებს.

მუხლი 2. სასწავლო უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის საქმიანობის სფერო და ფუნქციები

- სასწავლო უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის ძირითადი ფუნქციები და კომპეტენციაა:
- ა) სასწავლო უნივერსიტეტის ინფორმაციული-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის და მონაცემთა საცავების სისტემური ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

ბ) სასწავლო უნივერსიტეტის მოქმედი ინფორმაციული სისტემებით უზრუნველყოფა და შესაბამისი ტექნიკური

საშუალებების მიწოდება;

გ) სასწავლო უნივერსიტეტის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო საშუალებათა გამართული მუშაობის, გლობალურ ქსელთან (ინტერნეტთან) მათი წვდომისა და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კონფიგურირების, აგრეთვე ლოკალური კომპიუტერული ქსელის მომსახურების უზრუნველყოფა;

დ) ახალი პროგრამული პროდუქტების ტესტირების განხორციელება სასწავლო უნივერსიტეტის სპეციფიკის გათვალისწინებით და ამ პროგრამული პროდუქტების დანერგვა, პროგრამულ პროდუქტებში ცვლილებების შეტანა, ახალ მოთხოვნათა გათვალისწინებით, ინფორმაციის დამუშავების მეთოდებისა და ალგორითმების გამოკვლევა და დადგენა, მათ საფუძველზე ტექნიკური პროდუქტებისა და დავალებების შემუშავება;

ე) სასწავლო უნივერსიტეტის ვებრესურსების ადმინისტრირებისა და ვებგვერდის ქართულ და ინგლისურ ენებზე

ფუნქციონირების უზრუნველყოფა. აგრეთვე შესაბამისი ინფორმაციის განთავსების ხელშეწყობა;

ვ) სპეციალიზებული პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა, დანერგვა, განვითარება, ადმინისტრირება და

მომსახურება;

ზ) სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებისათვის/პერსონალისათვის კონსულტაციის განწევა კომპიუტერული და სხვა ციფრული ტექნიკის შესყიდვების განხორციელებისას, შესასყიდი ტექნიკის ტექნიკური მახასიათებლების მიწოდება და შესყიდული/მონოდებული ტექნიკის დოკუმენტაციასთან შესაბამისობის შემოწმება;

თ) მოთხოვნის შემთხვევაში შესაბამისი საპრეზენტაციო მასალის რედაქტირება და უკვე ბეჭდური სახით არსებული მასალის დაკაბადოკება და ლამინირება, სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალის მონაწილეობის, სამსახურებრივი ავტომატების საშვების და სხვა ადმინისტრაციული ტიპის დოკუმენტების პროექტების შექმნა;

ი) ელექტრონული სერვისების და მართვის ელექტრონული სისტემების დანერგვა და მისი მუდმივი განვითარების

უზრუნველყოფა;

კ) არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურითა და პროცესებით სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესუნწყვეტობის უზრუნველყოფა;

ლ) დადგენილი წესით კომპეტენციის ფარგლებში ითანამშრომლოს სასწავლო უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ

ერთეულებთან და განახორციელოს სხვა უფლება-მოვალეობები.

მუხლი 3. სასწავლო უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის მართვა და პერსონალი

1. სასწავლო უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის საქმიანობას ხელმძღვანელობს სამსახურის მენეჯერი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი.

2. სასწავლო უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის მენეჯერი უშუალოდ უწევს კოორდინაციას ამ დებულებით განსაზღვრული მიზნების, ამოცანებისა და ფუნქციების განხორციელებას.

3. საქართველოს კანონმდებლობითა და სასწავლო უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესით, სასწავლო უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურში შეიძლება განისაზღვროს/დაინიშნოს დამხმარე პერსონალი. მათი საქმიანობის წესი განისაზღვრება სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის განკარგულებითი აქტით/შრომითი ხელშეკრულებით.

4. სასწავლო უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის პერსონალის შრომის ანაზღაურების ფორმა და ოდენობა განისაზღვრება სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის განკარგულებითი აქტით/შრომითი ხელშეკრულებით.

მუხლი 4. სასწავლო უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის დებულებაში ცვლილებების და

დამატებების შეტანის წესი

წინამდებარე დებულებაში ცვლილებების და/ან დამატებების შეტანა ხორციელდება დადგენილი წესით.

მუხლი 5. სასწავლო უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

სასწავლო უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის რეორგანიზაცია და/ან ლიკვიდაცია ხორციელდება დადგენილი წესით.

